სისხლის
სამართლის
საერთაშორისო
სასამართლო,
მიმოხილვა

შინაარსი

I. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC), მოკლე მიმოხილვა 3

II. ICC-ს სტრუქტურა 9

III. ICC-ს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებები 13

IV. რანაირად მოქმედებს ICC? 17

A. წარდგენები, ანალიზი და გამოძიებები 17
B. დაკავება 20
C. ეჭვმიტანილთა უფლებები 24
D. ბრალდებების დადასტურება პროცესის დაწყებამდე 27
E. სასამართლო პროცესი 30
F. განაჩენი და მსჯავრი 33
G. აპელაცია და გადასინჯვა 34

V. დაზარალებულთა მონაწილეობა 36

VI. მოწმეთა დაცვა 40

VII. დამატებითი ინფორმაცია ICC-ს შესახებ 44

“(…) მთელი საერთაშორისო საზოგადოების შემაშფოთებელი უმძიმესი დანაშაულებები არ უნდა დარჩეს დაუსჯელი (…)”

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის
პრეამბულა არ არსებობს

1998 წლის 17 ივლისს ქ. რომში, 120 სახელმწიფოს მიერ მიღებული იყო წესდება, - სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დამაარსებელი „რომის სტატუტი“. კაცობრიობის ისტორიაში პირველად, სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ეღიარებინათ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მუდმივმოქმედი იურისდიქცია მათ ტერიტორიებზე, ან მათი მოქალაქეების მიერ, სერიოზული დანაშაულის ჩადენისას სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე, მას შემდეგ, რაც რომის სტატუტი შევიდა ძალაში 2002 წლის 1 ივლისს.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების შემცვლელს. რომის სტატუტის შესაბამისად, ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა განახორციელოს თავისი სისხლის სამართლის იურისდიქცია იმ პირებზე, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს არ გააჩნია ჭეშმარიტი გამოძიების და დამნაშავეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სურვილი, ან უნარი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარ დანიშნულებას საერთაშორისო საზოგადოებისთვის შემაშფოთებელი სერიოზული დანაშაულის ჩამდენთა დაუსჯელობისთვის ბოლოს მოღება, ასევე, მსგავსი დანაშაულებების თავიდან აცილების ხელშეწყობა წარმოადგენს.

საერთაშორისო მართლმსაჯულების მყარი მხარდაჭერის და განხორციელების გარანტირებისათვის მნიშვნელოვანია ინფორმირებული საზოგადოება. მოცემული ბროშურის დანიშნულება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლის პოპულარიზაციაა. ბროშურა შეიცავს პასუხებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ ყველაზე გავრცელებულ შეკითხვებზე.


Netherlands
Cour
Pénale
Internationale
International
Criminal
Court
The Hague
Netherlands

I. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, მოკლე მიმოხილვა

1. რას წარმოადგენს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო?

სისხლის სამართლოს საერთაშორისო სასამართლო (ICC, ან „სასამართლო“) წარმოადგენს მუდმივმოქმედ საერთაშორისო სასამართლოს, რომელიც დაარსებულია მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის უმძიმესი დანაშაულებების, კერძოდ, გენოციდის, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებების, სამხედრო დანაშაულებების და აგრესიის დანაშაულის გამოძიების და ბრალდებულთა სისხლისსამართლებრივი დევნის და გასამართლების მიზნით.

2. ICC-ს დაარსების მიზეზები

მეოცე საუკუნის სხვადასხვა კონფლიქტებისას ჩადენილი იყო უმძიმესი დანაშაულებები. სამწუხაროდ, ბევრი ასეთი საერთაშორისო სამართალდარღვევა დაუსჯელი დარჩა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაარსდა ნიურნბერგის და ტოკიოს ტრიბუნალები. იმის შემდეგ, რაც მსოფლიო მოწმე გახდა უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულებებისა, 1948-ში, როდესაც მიღებული იყო კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ აღიარა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შექმნის საჭიროება, რათა შექმნილიყო უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულებების განხილვის და დევნის მექანიზმი.

საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მართალმსაჯულების სისტემის შექმნის იდეა ხელახლა წარმოიშვა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ. თუმცა იმ დროს, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიმდინარეობდა ICC-ს წესდების შესახებ მოლაპარაკებები, მსოფლიო კიდევ ერთხელ გახდა უმძიმესი დანაშაულებების ჩადენაის მოწმე ყოფილი იუგოსლავიის და რუანდის ტერიტორიებზე. ამ დანაშაულებების ჩადენაზე რეაქციის სახით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დააარსა სპეციალური (ad hoc, Lat.) ტრიბუნალები ყველა ასეთი შემთხევვისთვის.

. აღნიშნულმა მოვლენებმა ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა გადაწყვეტილებაზე მოეწვიათ კონფერენცია, რომელმაც დააარსა ICC 1998 წლის ზაფხულში, რომში.

3. რას წარმოადგენს რომის სტატუტი?

1998 წლის 17 ივლისს 160 სახელმწიფომ დააარსა პირველი, ხელშეკრულებაზე დაფუძნებული, მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო. ამ კონფერენციაზე მიღებული ხელშეკრულება ცნობილია, როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი. ამაში, სხვათა შორის, დადგენილია ICC-ს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებები, პროცედურების წესები, და სახელმწიფოების და ICC-ს ურთიერთ-თანამშრომლობის მექანიზმები. სახელმწიფოებს, რომლებსაც მიღებული აქვთ ეს წესები, მიმართავენ, როგორც რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებს, და ისინი შედიან მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეაში.
მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა იკრიბება წელიწადში ერთხელ, ადგენს სასამართლოს ადმინისტრაციის ძირითად წესებს და იხილავს სასამართლოს მუშაობას. ამ შეკრებებზე

მონაწილე სახელმწიფოები იხილავენ სახელწმიფოების მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფების მუშაობის შედეგებს და სხვა ICC-სთვის მნიშვნელოვან საკითხებს, ასევე, იხილავენ ახალ პროექტებს და ადგენენ ICC-ს წლიურ ბიუჯეტს.

4. რამდენმა სახელმწიფომ მოახდინა რომის სტატუტის რატიფიცირება?

რომის სტატუტს გააჩნია 120-ზე მეტი მონაწილე სახელმწიფო, რომლებიც მოიცავენ მსოფლიოს ყველა რეგიონს: აფრიკას, აზიას და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებს, აღმოსავლეთ ევროპას, ლათინურ ამერიკას და კარიბის აუზს, დასავლეთ ევროპას, და ჩრდილოეთ ამერიკას.

5. სად მდებარეობს სასამართლო?

სასამართლო მდებარეობს ნიდერლანდებში, ქალაქ ჰააგაში. რომის წესდების შესაბამისად, დადგენილია, რომ მოსამართლეთა გადაწყვეტილებით, სასამართლოს ნებისმიერ მომენტში შეუძლია სხდომების ჩატარება სხვა ადგილზეც. აგრეთვე, სასამართლომ გახსნა ოფისები იმ რეგიონებში, სადაც ის ატარებს გამოძიებებს.

6. როგორ ფინანსდება სასამართლო?

სასამართლო ფინანსდება მონაწილე სახელმწიფოების შენატანით და მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო პირების, კორპორაციების და სხვა ორგანოების ნებაყოფლობითი შენატანებით.

7. განსხვავება ICC-ს და სხვა სასამართლოების შორის

ICC არის მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი სასამართლო, იმ დროს, როცა სხვა სპეციალურ (ad hoc, Lat.) ტრიბუნალებს, როგორიცაა ყოფილი იუგოსლავიის, რუანდის და სხვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში გარკვეული სიტუაციის გასარჩევად დაარსებულ სასამართლოებს გააჩნიათ უფრო შეზღუდული უფლებამოსილებები და იურისდიქცია. ICC რომელიც კერძო პირებს ასამართლებს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსგან (ICJ) განსხვავდება იმით, რომ ეს უკანასკნელი საერთაშორისო სასამართლო წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმწიფოთა შორის კამათის გადაწყვეტის მთავარ სასამართლო ორგანოს. ყოფილი იუგოსლავიის სპეცმოწვეული ტრიბუნალი და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო აგრეთვე მდებარეობს ქ. ჰააგაში.

8. წარმოადგენს თუ არა ICC გაეროს ოფისს ან სააგენტოს?

არა. ICC არის დამოუკიდებელი ორგანო, რომლის დანიშნულება მდგომარეობს მის იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებების ჩადენაზე პასუხისმგებელი პიროვნებების გასამართლებაში და ამ ფუნქციის შესრულებისთვის მას არ ესაჭიროება განსაკუთრებული უფლებამოსილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისგან. 2004 წლის 4 ოქტომბერს ICC-მ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს ორმხრივი ურთიერთობის ხელშეკრულებას.

9. ანაცვლებს თუ არა ICC ეროვნულ სასამართლოებს?

არა. ICC არ მუშაობს ეროვნული სისხლის სამართლებრივი მართალმსაჯულების სისტემების ნაცვლად, ICC წარმოადგენს მათ შემავსებელს. მას შეუძლია პიროვნებების წინააღმდეგ გამოძიების დაწყება და, სადაც საჭიროა, მათი სისხლის სამართლებრივი

დევნა და გასამართლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის სახელმწიფოს არ გააჩნია ამის გაკეთების უნარი ან სურვილი. სურვილის არ არსებობა ცხადი ხდება მაშინ, როდესაც პროცედურების დაბრკოლება საპატიო მიზეზის გარეშე ხორციელდება, ან პროცედურები არ არის ობიექტური, და იცავს გარკვეულ პიროვნებებს მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. სასამართლოს მუშაობის ეს პრინციპი ცნობილია, როგორც კომპლემენტარულობის პრინციპი, რომლის შესაბამისად უპირატესობა გააჩნიათ ეროვნულi მართლმსაჯულების სისტემებს. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოები რჩებიან პასუხისმგებლები ყველაზე მძიმე დანაშაულებების ჩამდენთა გასამართლებაზე.

10. ICC-ს იურისდიქციის გავრცელების წინაპირობები

სახელმწიფო, რომელიც ხდება რომის სტატუტის მონაწილე, აღიარებს ICC-ს იურისდიქციას სტატუტში ჩამოთვლილი დანაშულებებისადმი. სასამართლო ახორციელებს მის იურისდიქციას იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო დამნაშავე - მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეა, ან როდესაც დანაშაული ჩადენილია მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. აგრეთვე, რომის სტატუტის არ მონაწილე სახელმწიფოსაც შეუძლია ICC-ს იურისდიქციის აღიარება. ამ წინაპირობების შესრულება აუცილებელი არ არის, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის V II თავის შესაბამისად, პროკურორის ოფისში შეიტანს წარდგენას კონკრეტული ვითარების/ სიტუაციის შესახებ.

11. ICC-ს იურისდიქციის დროის ჩარჩოები

ICC-ს იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ სტატუტის 2002 წლის 1 ივლისს ძალაში შესვლის შემდეგ მომხდარ ინციდენტებზე. თუ სახელმწიფო შეუერთდა რომის სტატუტს მისი ძალაში შესვლის მერე, სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდება მხოლოდ ამ სახელმწიფოსთვის სტატუტის ძალაში შესვლის მერე ჩადენილ დანაშაულებებზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს სახელმწიფო აღიარებს ICC-ს იურისდიქციას უკუ ძალით. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, სასამართლოს იურისდიქცია არ გავრცელდება 2002 წლის 1 ივლისამდე მომხდარ ინციდენტებზე. ახალი მონაწილე სახელმწიფოსთვის, წესდება შედის ძალაში რატიფიცირების, მიღების, აღიარების, ან შეერთების საბუთების სასამართლოში შეტანიდან 60 დღის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ რიცხვში.

12. ვის ასამართლებს ICC?

ICC დევნის და ასამართლებს პიროვნებებს და არა პიროვნებათა ჯგუფებს ან სახელმწიფოებს. ICC-ს წინაშე მოყვანილი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც სავარაუდოდ პასუხისმგებელია სასამართლოს იურისდიქციაში მყოფი ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაზე. სინამდვილეში, პროკურორის ოფისის სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიკა მდგომარეობს იმ ადამიანების დევნაში, ვინც, შეგროვილი მტკიცებულებების შესაბამისად, ყველაზე მეტად არის პასუხისმგებელი შესაბამისი დანაშაულებების ჩადენაზე, ამ პირის შესაძლო ოფიციალური თანამდებობის მიუხედავად.

13. შეუძლია, თუ არა ICC-ს არასრულწლოვნების გასამართლება?

არა. სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება იმ პირებზე, ვისაც დანაშაულის ჩადენის მომენტში არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის.

14. შეიძლება თუ არა დანაშაულის ჩადენაზე ყველაზე მეტად პასუხისმგებელი პირების დევნა, თუ ისინი იკავებენ მაღალ პოლიტიკურ ან სამხედრო თანამდებობებს? გააჩნიათ თუ არა მათ სასამართლოსგან ხელშეუხებლობის ან ამნისტიის მიღების შესაძლებლობა?

ადამიანის ამჟამინდელი თანამდებობა, ან ყოფილი თანამდებობა, რომელიც მას ეკავა დანაშაულის ჩადენის მომენტში, არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნისთვის ხელშეუხებლობის მიზეზს.

სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, მინისტრის ან პარლამენტის წევრის მოვალეობების შესრულება არავის ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ICC-ს წინაშე.

ზოგიერთ შემთხვევაში თანამდებობის პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მის განკარგულებაში მყოფი ადამიანების მიერ ჩადენილ დანაშაულებებზეც.

აგრეთვე, მიღებული ამნისტია არ წარმოადგენს დაცვის არგუმენტს ICC-ს წინაშე. როგორც ასეთი, ამნისტია არ არის დამაბრკოლებელი ფაქტორი სასამართლოს იურისდიქციის განხორციელებისათვის.

15. შესაძლებელია, თუ არა ამჟამინდელი ან ყოფილი სახელმწიფოს მეთაურის დაკავების ბრძანების გაცემა პილიტიკური მიზეზების გამო?

არა. ICC არის სასამართლო ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია მხოლოდ მართალმსაჯულობის განხორციელების უფლება მოსილება. ICC არ ექვემდებარება არავითარ პოლიტიკურ კონტროლს. სასამართლოს დამოუკიდებელი მოსამართლეები იღებენ გადაწყვეტილებებს იურიდიული კრიტერიუმების საფუძველზე, სასამართლოსთვის დამფუძნებელი რომის სტატუტის, და სასამართლოს ფუნქციების სხვა განმსაზღვრელი იურიდიული ტექსტების შესაბამისად.

16. მართალია თუ არა, რომ ICC-ს ინტერესი მხოლოდ აფრიკის სახელმწიფოებზე?

არა. ICC-ს ინტერესი ვრცელდება ყველა სახელმწიფოზე, რომელმაც აღიარა სასამართლოს იურისდიქცია და ასეთი სახელმწიფოები ყველა კონტინენტზეა.

აფრიკის სახელმწიფოებმა შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი სასამართლოს დაარსებაში. მათი ზეგავლენის გამო სასამართლოს გააჩნია დამოუკიდებელი პროკურორის ოფისი. 1997-ში სამხრეთ აფრიკის განვითარების კავშირმა (SADC) აქტიურად დაუჭირა მხარი სასამართლოს დაარსების წინადადებას და 1998 წლის თებერვალში, დაკარში (სენეგალი) ჩატარებული აფრიკული კონფერენციის სხვა მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს სამხრეთ აფრიკის განვითარების კავშირის დეკლარაციას სასამართლოს დაარსების მხარდაჭერის შესახებ და მიიღეს „დეკლარაცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაარსების თაობაზე“.

თავად რომის კონფერენციაზეც აფრიკელებმა გააკეთეს ყველაზე მნიშვნელოვანი

განცხადებები სასამართლოს შესახებ. აფრიკის მხარდაჭერის გარეშე შესაძლოა, რომის სტატუტი საერთოდ არ ყოფილიყო მიღებული. ფაქტია, რომ სასამრთლოს მონაწილე სახელმწიფოების შორის, აფრიკის რეგიონი ყველაზე მეტად არის წარმოდგენილი. მხარდაჭერას და ნდობას სასამართლოსადმი აცხადებენ არა მხოლოდ სახელმწიფოების მთავრობები, არამედ სამოქალაქო ორგანიზაციებიც. აგრეთვე, აფრიკელები იღებენ მნიშვნელოვან მონაწილეობას სასამართლოს მუშაობაში და იკავებენ მაღალი დონის თანმდებობებს სასამართლოს ყველა ორგანოში.

ICC-ს გამოძიებების უმეტესობა დაიწყო აფრიკის მთავრობების თხოვნით, ან მათთან კონსულტაციების შედეგად. სხვა გამოძიებები დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შუამდგომლობით, რომელშიც აგრეთვე წარმოდგენილია აფრიკის სახელმწიფოების მთავრობები.

და ბოლოს, ფორმალური გამოძიებების გარდა, სასამართლოს პროკურორის ოფისი ამჟამად აგრეთვე ატარებს წინასწარ გამოძიებებს რამდენიმე სახელმწიფოში, დედამიწის ოთხ კონტინენტზე.

Cour
Pénale
Internationale

International
Criminal
Court

სასამართლოს სტრუქტურა: ოთხი ორგანო

ხელმძღვანელობა
სასამართლოს
მეთაური

პალატები
ახორციელებენ
ობიექტურ
პროცესებს

**პროკურორის
ოფისი**
ახორციელებს
ძიებას და დევნას

კანცელარია
ემსახურება
სასამართლოს

II. ICC-ს სტრუქტურა

ICC-ს შემადგენლობაში შედის ოთხი ორგანო: ხელმძღვანელობა, პალატები, პროკურორის ოფისი და კანცელარია. ყველა ორგანოს გააჩნია განსაკუთრებული ფუნქცია და უფლებამოსილებები.

17. ხელმძღვანელობის ფუნქციები

ხელმძღვანელების შემადგენლობაში შედის სამი მოსამართლე (პრეზიდენტი და ორი ვიცე პრეზიდენტი), არჩეული სასამართლოს 18 მოსამართლის აბსოლუტური უმრავლესობით, მაქსიმუმ ორი სამწლიანი ვადით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სასამართლოს მართვა-ადმინისტრირებაზე გარდა პროკურორის ოფისისა. ხელმძღვანელობა ახორციელებს სასამართლოს საგარეო ურთიერთობებს და ხელს უწყობს მოსამართლეთა მუშაობის ორგანიზებას. ხელმძღვანელობას აგრეთვე გააჩნია სხვა ფუნქციებიც, როგორიცაა სასამართლოს განაჩენების აღსრულების უზრუნველყოფა.

18. პალატების ფუნქციები

სასამართლოს 18 მოსამართლე, ხელმძღვანელობის 3 მოსამართლის ჩათვლით, ინიშნება სამ სასამართლო დეპარტამენტში: წინასასამართლო (შედგება შვიდი მოსამართლისგან), სასამართლო (შედგება ექვსი მოსამართლისგან), და სააპელაციო დეპარტამენტში (შედგება ხუთი მოსამართლისგან). მოსამართლეები ინიშნებიან შემდეგ პალატებში: წინასასამართლო პალატები (ყოვლის შემადგენლობაში შედის სამი მოსამართლე), სასამართლო პალატებში (ყოვლის შემადგენლობაში შედის სამი მოსამართლე), და სააპელაციო პალატაში (რომლის შემადგენლობაში შედის სააპელაციო დეპარტამენტის ხუთივე მოსამართლე). ყველა, წინა სასამართლო, სასამართლო და სააპელაციო პალატების მოსამართლეთა ფუნქციები და პასუხისმგებლობის არეები იხილეთ ქვემოთ.

19. მოსამართლეთა ამორჩევა

მოსამართლეების ამორჩევა ხორციელდება მაღალი მორალური თვისებების, ობიექტურობის და პატიოსნების საფუძველზე ადამიანებისგან, რომლებიც ფლობენ მათ შესაბამის სახელმწიფოში ყველაზე მაღალი სასამართლო თანამდებობების დაკავებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციას. გააჩნიათ ფართო გამოცდილება, რომელიც ესაბამება სასამართლოს მართალმსაჯულების ფუნქციას.

მოსამართლეთა ამორჩევა ხორციელდება მონაწილე-სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ, კანდიდატების დადგენილი სისხლისსამართლებრივი პროცესუალური და აგრეთვე საერთაშორისო სამართლებრივი (საერთაშორისო ჰუმანიტარული ან ადამიანთა უფლებების სამართალი) კომპეტენციების საფუძველზე. მათ გააჩნიათ ფართო გამოცდილება გარკვეულ საკითხებში, მაგალითად: ძალადობის დანაშაული ქალთა და ბავშვთა წინააღდეგ.

მოსამართლეთა ამორჩევის დროს ასამბლეა ითვალისწინებს მსოფლიოს ყველა მთავარი მართალმსაჯულების სიტემის წარმოდგენის, მამაკაცების და ქალების თანაბარი წარმოდგენის, და სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების აუცილებლობას.

მოსამართლეები ზრუნავენ ობიექტური პროცესების ჩატარებაზე და მართალმსაჯულობის შესაბამის განხორციელებაზე.

20. წინასასამართლო პალატების ფუნქციები

წინასასამართლო პალატების შემადგენლობაში შედის ერთი, ან სამი მოსამართლე. მათი პასუხისმგებლობა მოიცავს პროცესის დაწყებამდე დამდგარი საკითხების გადაწყვეტას. წინასასამართლო პალატების ფუნქციებში შედის ზედამხედველობა იმაზე, როგორ ატარებს პროკურორის ოფისი საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებებს და ძიების ეტაპზე ეჭვმიტანილთა, დაზარალებულთა და მოწმეთა უფლებების უზრუნველყოფას, ასევე პროცედურების შესაბამისობის გარანტირებას. წინასასამართლო პალატები იღებენ გადაწყვეტილებებს დაკავების ბრძანებების, ან პროკურორის ოფისის წინაშე გამოცხადების უწყებების გაცემის და დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ადამიანის ბრალდების დადასტურების საკითხებზე. ისინი აგრეთვე იღებენ გადაწყვეტილებებს ვითარებების და საქმეების დაშვებადობის, და დაზარალებულთა წინასასამართლო ეტაპზე მონაწილეობის თაობაზე.

21. სასამართლო პალატების ფუნქციები

დაკავების ბრძანების გაცემის, სავარაუდო დამრღვევის დაკავების და წაყენებული ბრალდების წინასასამართლო პალატის მიერ დადასტურების შემდეგ, საქმის სასამართლო განხილვისთვის, სასამართლოს ხელმძღვანელობა ნიშნავს სასამართლო პალატას, რომლის შემადგენლობაში შედის სამი მოსამართლე.

სასამართლო პალატის მთავარი ფუნქცია არის ობიექტური და დროული პროცესის უზრუნველყოფა, რომელიც ჩატარდება ბრალდებულთა უფლებებისადმი სრული პატივისცემით და დაზარალებულთა და მოწმეთა უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფით. პალატა აგრეთვე იღებს გადაწყვეტილებებს დაზარალებულთა პროცესში მონაწილეობის შესახებ.

სასამართლო პალატა ადგენს ბრალდებულის უდანაშაულობას ან დამნაშავეობას; იმ შემთხვევაში თუ ბრალდებული ცნობილია დამნაშავედ, პალატას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სასჯელის შესახებ რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთის სახით. თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ წელიწადს ან შესაძლოა იყოს სამუდამო პატიმრობაც. ასევე, შეიძლება დაკისრებული იყოს ფინანსური ჯარიმები. სასამართლო პალატას შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს დაზარალებულთა რეპარაციების უზრუნველყოფა, კომპენსაციის, ანაზღაურების ან რეაბილიტაციის ჩათვლით.

22. სააპელაციო პალატის ძირითადი ფუნქციები

სააპელაციო პალატის შემადგენლობაში შედის სასამართლოს თავმჯდომარე ოთხ სხვა მოსამართლესთან ერთად. პროცესის ყველა მხარეს გააჩნია წინასასამართლო და სასამართლო პალატების გადაწყვეტილებების/განაჩენების აპელაციის წესით

გასაჩივრების, ან აპელაციის შეტანის ნებართვის მოთხოვნის უფლება. სააპელაციო პალატას შეუძლია გასაჩივრებული გადაწყვეტილებების (განაჩენების და მსჯავრდების გადაწყვეტილებების ჩათვლით) დადასტურება, გაუქმება, ან შეცვლა, და აგრეთვე შეუძლია საქმის წარდგენა სხვა სასამართლო პალატის მეორად განხილვაზე.

მას აგრეთვე შეუძლია საბოლოო ბრალდებითი განაჩენის ან მსჯავრის გადამოწმება.

23. პროკურორის ოფისის ფუნქციები

პროკურორის ოფისი წარმოადგენს სასამართლოს დამოუკიდებელ ორგანოს. მის უფლებამოსილებებში შედის წარდგენილ სიტუაციებზე ან ICC-ს იურისდიქციაში მყოფ შესაძლო ჩადენილ დანაშაულებებზე ინფორმაციის მიღება და განხილვა, მასზედ, რომ დადგინდეს, არსებობს თუ არა გონივრული საფუძველი გენოციდის, კაცობრიობის წინაშე დანაშაულებების, სამხედრო დანაშაულებების ან აგრესიის დანაშაულის გამოძიების დაწყებისათვის და ამ დანაშაულებების სავარაუდო ჩამდენთა სასამართლოს წინაშე წარდგენისთვის.

საკუთარი მანდატის შესრულების მიზნით, პროკურორის ოფისი დაყოფილია სამ დეპარტამენტად: (i) საგამოძიებო დეპარტამენტი, პასუხისმგებელი გამოძიებების ჩატარებაზე (მტკიცებულებების შეგროვება და გადამოწმება, ეჭვმიტანილთა, დაზარალებულთა და მოწმეთა დაკითხვა). ამ შემთხვევაში, სტატუტის შესაბამისად, სიმართლის დადგენისათვის, პროკურორის ოფისი ვალდებულია თანაბრად განიხილოს როგორც მამხილებელი, ასევე გამამართლებელი გარემოებები. (ii) სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტს გააჩნია როლი საძიებო პროცესშიც, თუმცა მისი ძირითადი ფუნქცია სასამართლოს სხვადასხვა პალატების წინაშე სასამართლო დავების წარმოებაში მდგომარეობს . (iii) იურისდიქციის, კომპლემენტარულობის და თანამშრომლობის დეპარტამენტი, რომელიც საგამოძიებო დეპარტამენტის მხარდაჭერით იხილავს მიღებულ ინფომრაციას და სასამართლოსთვის წარდგენილ შემთხევვებს, აანალიზებს სიტუაციებს და საქმეებს მათი დაშვებადობის დადგენისათვის და ეხმარება პროკურორის ოფისს საკუთარი ფუნქციების შესრულებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფაში.

24. სასამართლო კანცელარიის ფუნქციები

კანცელარია ეხმარება სასამართლოს ობიექტური, დამოუკიდებელი და საჯარო სასამართლო პროცესების ჩატარებაში. კანცელარიის ძირითადი ფუნქცია სასამართლო პალატების და პროკურორის ოფისის ადმინისტრაციული და ოპერატიული მხარდაჭერის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. იგი აგრეთვე ხელს უწყობს სასამართლოს რეგისტრატორის აქტივობებს დაცვის, დაზარალებულთა მხარდაჭერის, კომუნიკაციის და უშიშროებასთან დაკავშირებული ფუნქციების მიმართულებით. იგი უზრუნველყოფს სასამართლოს სათანადო მომსახურებას და დაზარალებულთა, მოწმეთა და ბრალდებულთა იურიდიული მხარდაჭერის და დაცვის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას, რათა სრულად იყოს დაცული მათი უფლებები რომის სტატუტის და პროცედურის და მტკიცებულების წესების შესაბამისად.

კანცელარია სასამართლოს ოფიცალური კომუნიკაციის ორგანოს წარმოადგენს და შესაბამისად პასუხისმგებელია ICC-ს საჯარო ინფორმაციის და საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულებით.

III. ICC-ს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებები

25. რა დანაშაულებები ექვემდებარება ICC-ს იურისდიქციას?

სასამართლოს მანდატში შედის პიროვნებების (და არა სახელმწიფოების) გასამართლება და მათთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის ყველაზე მძიმე დანაშაულებების ჩადენაში, კერძოდ, გენოციდში, სამხედრო დანაშაულებებში, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ და აგრესიის დანაშაულში, როდესაც შესრულებულია სასამართლოს ამ დანაშაულებების განხილვის იურისდიქციის ყველა წინაპირობა.

26. რას წარმოადგენს გენოციდი?

რომის სტატუტის შესაბამისად, ნებისმიერ ქვემოთჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის ნაწილობრივ ან სრულად განადგურების განზრახვით ეწოდება „გენოციდი“:

- ჯგუფის წევრების მკვლელობა;
- ჯგუფის წევრებისთვის მძიმე სხეულებრივი ან გონებრივი დაზიანების მიყენება;
- ამ ჯგუფისთვის ცხოვრების გაუსაძლისი პირობების განზრახ შექმნა რათა განხორციელდეს მისი სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურება;
- ზომების მიღება ჯგუფში შობადობის აღსაკვეთად;
- ჯგუფის ბავშვების იძულებითი გადაადგილება სხვა ჯგუფში.

27. რას წარმოადგენს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებები?

„კაცობრიობის წინაშე დანაშაულებები“ წარმოადგენს ნებისმიერ ქვემოთჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც ჩადენილია მშვიდობიან მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი და სისტემატიური განზრახ თავდასხმის ფარგლებში:

- მკვლელობა;
- მოსახლეობის განადგურება;
- დამონება;
- დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება;
- დაპატიმრება;
- წამება;
- გაუპატიურება, სექსუალური მონობა, იძულებითი პროსტიტუცია, იძულებითი დაორსულება, იძულებითი სტერილიზაცია, ან სხვა მსგავსი სიმძიმის სქესობრივი ძალადობის აქტი;
- გარკვეული ადამიანთა ჯგუფის დევნა პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური ან გენდერული მიზეზების გამო;
- პიროვნებების იძულებითი გაუჩინარება;
- აპარტეიდის დანაშაული;
- სხვა მსგავსი ხასიათის არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი მძიმე ტანჯვის ან სერიოზული სხეულებრივი ან გონებრივი დაზიანების მიყენების განზრახვით.

28. რას წარმოადგენენ სამხედრო დანაშაულებები?

„სამხედრო დანაშაულებები“ მოიცავს ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევებს და სხვა, რომის სტატუტში ჩამოთვლილ საერთაშორისო და „არა საერთაშორისო ხასიათის“ შეიარაღებული კონფლიქტების წესების და ჩვეულებების მნიშვნელოვან დარღვევებს, ჩადენილს კონკრეტული დიდი გეგმის ან პოლიტიკის განხორციელების განზრახვით, ფართო მასშტაბით:

- მკვლელობა;
- დასახიჩრება, სასტიკი მოპყრობა და წამება;
- მძევლად აყვანა;
- განზრახ-თავდასხმა მშვიდობიან მოსახლეობაზე;
- განზრახ თავდასხმა რელიგიური, საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სამეცნიერო ან საქველმოქმედო დანიშნულების შენობებზე, ისტორიულ ძეგლებსა და საავადმყოფოებზე;
- ძარცვა;
- გაუპატიურება, სექსუალური დამონება, იძულებითი დაორსულება ან სექსუალური ძალადობის ნებისმიერი სხვა ქმედება;
- შეიარაღებულ ძალებში 15 წლამდე ასაკის ბავშვების ხელშეკრულებით ან იძულებით აყვანა, ან მათი აქტიური გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტში.

29. რას წარმოადგენს აგრესიის დანაშაული?

როგორც განისაზღვრა მონაწილე სახელმწიფოთა მიერ რომის სტატუტის განხილვის კონფერენციაზე, რომელიც 2010 წლის 31 მაისიდან 11 ივნისამდე ჩატარდა ქ. კამპალაში (უგანდა), „აგრესიის დანაშაული“ წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების გამოყენების აქტის დაგეგმარებას, დაწყებას ან შესრულებას.

აგრესიის აქტი, სხვა ქმედებებთან ერთად მოიცავს შეჭრას, სამხედრო ოკუპაციას და ანექსიას ძალის გამოყენებით, პორტების ან სანაპიროების ბლოკადას, იმ შემთხვევაში, თუ ამ ქმედების ხასიათიდან, სიმძიმიდან და მასშტაბიდან გამომდინარე ეს ქმედება წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის აშკარა დარღვევას.

აგრესიის დანაშაულში დამნაშავედ ჩაითვლება პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს პოლიტიკური ან სამხედრო ქმედებების ეფექტური კონტროლის ან მართვის უნარი.

30. როდის სასამართლოს იურისდიქცია აგრესიის დანაშაულზე?

აგრესიის დანაშაული შესაძლოა შევიდეს სასამართლოს იურისდიქციაში მას შმდეგ რაც მონაწილე სახელმწიფოების ორი მესამედი 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიიღებს შესაბამისი ცვლილებების შეტანის გადაწყვეტილებას და მინიმალურად 30 მონაწილე სახელმწიფო მოახდენს ამ გადაწყვეტილების რატიფიცირებას.

31. სასამართლოს მიერ აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელების წინაპირობები

სასამართლოს ექნება აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელების უფლება თუ აგრესიის აქტი ჩადენილი იქნება მონაწილე სახელმწიფოს მიერ თუმცა ამ სახელმწიფოს წინასწარ არ განუცხადებია რომ ის არ ცნობს სასამართლოს იურისდიქციას აგრესიის დანაშაულზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერსასამართლოსადმი წარდგენილი შემთხვევების გამოკლებით, სასამართლოს არ გააჩნია იურისდიქცია აგრესიის დანაშაულზე, თუ ამ დანაშაულს ადგილი ჰქონდა არა-მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან დანაშაულის ჩამდენი მონაწილე არ არის სახელმწიფოს მოქალაქე.

სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდება მხოლოდ იმ აგრესიის დანაშაულებზე, რომელიც ჩადენილ იქნება 1 წელიწადში იმის შემდეგ, რაც 30 მონაწილე სახელმწიფო რატიფიცირებას გაუკეთებს ან მიიღებს აგრესიის დანაშაულთან დაკავშირებით რომის სტატუტის შესწორებებს, რომელიც 2010 წლის ივნისში, მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეაზე შეთანხმდა.

32. როგორ შეიძლება მოხდეს გამოძიების დაწყება აგრესიის დანაშაულზე?

ზემოაღნიშნული პირობების შესაბამისად, ICC-ს პროკურორს შეუძლია დაიწყოს აგრესიის დანაშაულის გამოძიება თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა აგრესიის დანაშაულს.

სხვა შემთხვევაში, პროკურორებს თავად შეუძლიათ განიხილონ სიტუაცია და საკუთარ შეფასებებზე დაყრდნობით შეატყობინონ სიტუაციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

თუ პროკურორის შეტყობინებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო ვერ დაადგენს, ჰქონდა თუ არა ადგილი აგრესიის აქტის ჩადენას, პროკურორს, ICC-ს წინასასამართლო დეპარტამენტისგან ნებართვის მიღების შემდეგ, მაინც ექნება აგრესიის დანაშაულის გამოძიების დაწყების შესაძლებლობა.

IV. როგორ მოქმედებს ICC?

A. წარდგენები, ანალიზი და გამოძიებები

33. საქმეთა წარდგენა სასამართლოს წინაშე

რომის სტატუტის ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია პროკურორის ოფისს მიმართოს გამოძიების დაწყების შუამდგომლობით. არა-მონაწილე სახელმწიფოს ასევე შეუძლია პროკურორის ოფისს მიმართოს გამოძიების დაწყების თხოვნით მის ტერიტორიაზე ან მის მოქალაქეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე ICC-ს იურისდიქციის აღიარების შემდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსაც აქვს შესაძლებლობა მოახდინოს კონკრეტული სიტუაციის წარდგენის სასამართლოს წინაშე.

34. შეუძლია თუ არა პროკურორს საკუთარი ინიციატივით გამოძიების დაწყება?

დიახ, შეუძლია, თუ პროკურორის ოფისი მიიღებს სანდო ინფორმაციას დანაშაულებებზე, რომელშიც მონაწილეობენ მონაწილე სახელმწიფოს ან ისეთი სახელმწიფოს მოქალაქეები, რომელმაც აღიარა ICC-ს იურისდიქცია, ან დანაშაულის ჩადენა მოხდა ასეთი სახელმწიფოების და დაასკვნის, რომ არსებობს გამოძიების დაწყების გონივრული საფუძველი. ასეთი ინფორმაცია შეიძლება წარმოიშვას კერძო პირებისგან, საერთაშორისო, ან არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ან სხვა სანდო წყაროებიდან. თუმცა, მსგავსი გამოძიების დასაწყებად პროკურატურამ უნდა მოიპოვოს წინასასამართლო პალატის მოსამართლეების ნებართვა .

35. რა ხდება მას შემდეგ, რაც ICC-ს გამოძიებისტის სიტუაცია წარედგინება

პროკურორი ადგენს, ვრცელდება თუ არა სასამართლოს იურისდიქცია შესაძლო ჩადენილ დანაშაულებებზე. ხელმისაწვდომი ინფომრაციის დეტალური ანალიზის შემდეგ, პროკურატურა ადგენს, არსებობს თუ არა გამოძიების დაწყების გონივრული საფუძველი. შესაბამისად, პროკურატურამ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა ჩადენილი გენოციდი, სამხედრო ან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებები და დადებითი პასუხის შემთხვევაში ჩადენილია თუ არა აღნიშნული დანაშაულებები 2002 წლის 1 ივლისის შემდეგ. პროკურატურამ ასევე უნდა დაადგინოს აწარმოებს თუ არა რომელიმე ქვეყნის ეროვნული ხელისუფლება ჭეშმარიტ გამოძიებას ან სასამართლო პროცესს აღნიშნული დანაშაულებების სავარაუდო დამრღვევთა წინააღმდეგ. და ბოლოს, პროკურატურა ვალდებულია სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებს ან სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც აღიარებენ სასამართლოს იურისდიქციას - შეატყობინოს გამოძიების დაწყების განზრახვის შესახებ.

36. გამოძიების ჩატარება

პროკურორის ოფისის გამომძიებლები აგროვებენ მტკიცებულებებს იმ ტერიტორიებზე, სადაც სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა დანაშაულებებს. გამომძიებლები უნდა იყვნენ მაქსიმალურად ფრთხილად რათა არ შექმნან რაიმე საფრთხე დაზარალებულებისა და მოწმეებისათვის. ხელშეწყობის და მხარდაჭერის თხოვნით პროკურორის ოფისი აგრეთვე მიმართავს სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. გამომძიებლები ეძებენ ეჭვმიტანილის ბრალის ან უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს.

37. განახორციელებს თუ არა ICC უმძიმესი დანაშაულებების ჩადენაში ყველა ეჭვმიტანილის სისხლისსამართლებრივ დევნას?

არა. სასამართლოს არ ძალუძს საერთაშორისო საზოგადოებისთვის ყველაზე მძიმე დანაშაულებების ჩადენაში ყველა ეჭვმიტანილის გასამართლება. პროკურორის ოფისის სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკა მოითხოვს გამოძიებების და დევნის კონცენტრირებას მათზე, ვინც, შეგროვილი მტკიცებულებების შესაბამისად, ყველაზე მეტად პასუხისმგებელია ასეთი დანაშაულებების ჩადენაზე.

38. შეიძლება, თუ არა სხვა სასამართლომ გაასამართლოს ICC-ს მიერ არ გასამართლებული დამნაშავეები?

კომპლემენტარულობის პრინციპის შესაბამისად, ეროვნული მართალმსაჯულების სისტემები ყოველთვის ინარჩუნებენ დამნაშავეთა გასამართლების პასუხისმგებლობას.

B. დაკავება

39. ვის შეუძლია დაკავების ორდერის ან სასამართლო უწყების გაცემა?

გამოძიების დაწყების შემდეგ, პროკურორის თხოვნით, მხოლოდ წინასასამართლო პალატას შეუძლია გასცეს პიროვნების დაკავების ორდერი, ან სასამართლოში გამოძახების უწყება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შესაბამისმა პიროვნებამ ჩაიდინა დანაშაული ICC-ს იურისდიქციაში შემავალი ფარგლებში.

40. რა ინფორმაცია ესაჭიროებათ მოსამართლეებს ეჭვმიტანილის დაკავების ორდერის ან სასამართლო უწყების გასაცემად?

პროკურატურა, ეჭვმიტანილის დაკავების ორდერის ან სასამართლო უწყების გაცემის შუამდგომლობასთან ერთად, მოსამართლეებს გადასცემს შემდეგ ინფორმაციას:

- ეჭვმიტანილის სახელი და გვარი;
- მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებების აღწერა;
- ფაქტების მოკლე შინაარსი (სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებები);
- საბრალდებო მტკიცებულებების მოკლე შინაარსი;
- მიზეზი, რატომაც პროკურორს საჭიროდ მიაჩნია ამ ადამიანის დაკავება.

41. რა მიზეზები განაპირობებს დაკავების ორდერის გაცემას?

მოსამართლეები გასცემენ პირის დაკავების ორდერს იმ შემთხევვაში თუ ეს საჭიროა მისი სასამართლო პროცესზე დასწრების გარანტირებისათვის, იმისთვის, რომ პირს არ მიეცეს გამოძიების ან სასამართლო პროცესის ხელის შეშლის შესაძლებლობა, ან არ მიეცეს დანაშაულებრივი ქმედებების შემდგომი ჩადენის შესაძლებლობა.

42. პროცედურები დაკავების ორდერის გაცემის შემდეგ

მოსამართლეთა გადაწყვეტილების შესაბამისად, სასამართლოს რეგისტრატორი ეჭვმიტანილის დაკავების და სასამართლოში გადაცემის შუამდგომლობით მიმართავს შესაბამის სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს.

პირის დაკავების და სასამართლოსთვის მისი დაკავების ფაქტის შეტყობინების შემდეგ, სასამართლო ზრუნავს იმაზე, რომ აღნიშნულმა პირმა მიიღოს დაკავების ორდერის ასლი მისთვის სრულყოფილად გასაგებ ენაზე.

43. აქვს თუ არა ICC-ს ეჭვმიტანილთა დაკავების უფლება?

სასამართლოს საკუთარი პოლიციური ძალა არ გააჩნია. შესაბამისად, ეჭვმიტანილთა დაკავების და გადაცემის საკითხში სასამართლო სრულად დამოკიდებულია სახელმწიფოთა თანამშრომლობაზე.

რომის სტატუტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებისთვის სავალდებულოა სასამართლოსთან სრული თანამშრომლობა გამოძიების ჩატარების და სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებების სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხში.

44. ვინ ასრულებს დაკავების ბრძანებებს?

დაკავების ორდერის შესრულების უზრუნველყოფა მონაწილე სახელმწიფოების მოვალეობაა. ICC-ს დაარსებისას სახელმწიფოებმა შექმნეს სისტემა, რომელიც ორ საყრდენს ეფუძნებოდა. სასამართლო თავად წარმოადგენს ამ სისტემის მართალმსაჯულების საყრდენს. ხოლო სახელმწიფოებს აკისრიათ აღმასრულებელი, მათ შორის სასამართლოს ბრძანებების შესრულების ფუნქციები.

რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებს ICC-სთან სრული თანამშრომლობის იურიდიული ვალდებულება აკისრიათ. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ ან ვერ ასრულებს სასამართლოსთან თანამშრომლობის შუამდგომლობას, ამ ფაქტის დადგენის შემდეგ, მომდევნო ზომების მიღებისთვის სასამართლო მიმართავს მონაწილე სახელმწიფოების ასამბლეას.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს იურისდიქცია გამომდინარეობს გაეროს უშიშროების საბჭოდან, თანამშრომლობის ვალდებულება ვრცელდება გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოზე იმის მიუხედავად, არის თუ არა ესა თუ ის სახელმწიფო რომის სტატუტის მონაწილე. სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებები, კაცობრიობისთვის ყველაზე მძიმე დანაშაულებებს წარმოადგენენ და ამიტომ, სტატუტის 29-ე მუხლის შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა. ვინაიდან დაკავების ორდერებს გააჩნიათ მუდმივი მოქმედების ვადა, ჯერჯერობით არ/ვერ დაკავებული პირები შესაბამისად, ადრე თუ გვიან წარდგებიან სასამართლოს წინაშე.

45. რა ხდება პირის დაკავების შემდეგ?

დაკავებული პირი მალევე წარდგება დაკავების სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლო ორგანოების წინაშე, რომელიც ამოწმებს დაკავების ბრძანება ნამდვილად აღნიშნული პირის დაკავებისთვის არის თუ არა გაცემული, აღნიშნული პირი დაკავებულია თუ არა ყოველგვარი პროცესუალური წესის შესაბამისად და მისი უფლებების დარღვევის გარეშე. მას შემდეგ რაც გადაცემის ორდერი გაიცემა, ხდება პირის სასამართლოში გადაყვანა და შემდეგ ნიდერლანდებში, ქ. ჰააგის საპატიმრო ცენტრში მოთავსება.

46. ჰააგის საპატიმრო ცენტრის საყოფაცხოვრებო პირობები

ICC-ს საპატიმრო ცენტრი აკმაყოფილებს პატიმრებთან მოპყრობის უმაღლეს საერთაშორისო ადამიანის უფლებების სტანდარტებს, როგორიცაა, “გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტულ მინიმალურ პირობები”. დამოუკიდებელი ინსპექტორები რეგულარულად ატარებენ პატიმრების განთავსების და მოპყრობის სტანდარტების დაუგეგმავ შემოწმებებს.

ICC-ს საპატიმრო ცენტრის დღის განრიგით პატიმრებისთვის გათვალისწინებულია ეზოში გასეირნება, ფიზიკური ვარჯიში, სამედიცინო დახმარება, ხელით შრომის შესაძლებლობა და აგრეთვე მათთვის ხელმისაწვდომია ყველა პირობა, რომელიც მათ ესაჭიროებათ პროცესზე დაცვის მომზადებისთვის. ამას გარდა, საპატიმრო ცენტრს გააჩნია მულტიმედიური მოწყობილობები და პატიმრებისთვის ხელმისაწვდომია

სპორტული, სავარჯიშო და გასართობი პროგრამების მთელი ნუსხა. აგრეთვე ICC-ს პატიმრებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერები, ტელევიზორი, წიგნები და ჟურნალები. ფინანსური საშუალებების არ მქონე პირებს ეძლევათ მათ ადვოკატთან სამუშაო დღის განმავლობაში უფასო სატელეფონო კავშირის საშუალება. ყოველი 10 მ2 სიდიდის კამერა გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი პატიმრისთვის. სტანდარტული კამერა შეიცავს ლოგინს, სამუშაო მაგიდას, თაროებს, კარადას, ტუალეტს, პირსაბანს, ტელევიზორს და კამერის ჩაკეტვის შემთხვევაში, დაცვასთან დასაკავშირებელ მოწყობილობას.

სასამართლო უზრუნველყოფს პატიმართა სამჯერად კვებას. ხოლო, იმ პატიმრებისთვის, ვისაც თავად სურს საჭმლის დამზადება, ხელმისაწვდომია სამზარეულო. პატიმრებისთვის აგრეთვე ხელმისაწვდომია შეუკვეთონ სხვა მათთვს საჭირო დამატებითი ნივთები არსებული საყიდლების სიის საშუალებით.

პატიმრების მონახულების უფლება ოჯახის წევრებს წელიწადში რამდენიმეჯერ აქვთ, პატიმრის ხელმოკლეობის შემთხვევაში, ვიზიტი შეძლებისდაგვარად სასამართლოს ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს.

ICC-ს საპატიმრო ცენტრი ჰააგაში არ არის გათვალისწინებული პატიმრების ხანგრძლივი განთავსებისათვის და შესაბამისად, ICC-ს მის იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებების ჩადენაზე მსჯავრდებული პირები სასჯელს ჰააგაში არ იხდიან. მსჯავრდებულები გადაადგილდებიან ციხეში რომელიმე სახელმწიფოში, იმ სახელმწიფოთა სიიდან, რომელთაც განაცხადეს თანხმობა ICC-ს მსჯავრდებულთა განთავსებაზე.

C. ეჭვმიტანილთა უფლებები

47. ნიშნავს თუ არა დაკავებულთა სასამართლოში გადაყვანა მათი ბრალის დადასტურებას?

არა. ყველა ადამიანი ითვლება უდანაშაულოდ მანამდე, სანამ მისი ბრალი არ არის დამტკიცებული სასამართლოში. ეჭვმიტანილის ბრალის დამტკიცება პროკურატურის ვალდებულებაა და სასამართლო პალატა პირს მიუსჯის მხოლოდ მაშინ, როცა დაადგენს, რომ ბრალდება მაქსიმალურად არის დამტკიცებული.

48. რა უფლებები გააჩნიათ ეჭვმიტანილებს?

ეჭვმიტანილისთვის მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპი. პროცესის დროს ისინი ესწრებიან სასამართლოს სხდომებს, და უფლება გააჩნიათ ისარგებლონ საქმის საჯარო, ობიექტური და დამოუკიდებელი განხილვით. ამის განსახორციელებლად სასამართლოს იურიდიულ დოკუმენტებში გათვალისწინებულია მთელი რიგი უფლებების და გარანტიებისა, მაგალითისთვის:

- მათი დაცვა განხორციელდეს მათ მიერ არჩეული ადვოკატის მიერ, სასამართლოში მოიყვანონ მოწმეები და სასამართლოს წარუდგინონ მტკიცებულებები, ასევე გამოიყენონ ენა, რომელსაც ისინი ფლობენ სრულყოფილად;
- მიიღონ დეტალური ინფორმაცია ბრალდების შესახებ მათთვის სრულყოფილად გასაგებ ენაზე;
- გამოეყოთ საკმარისი დრო საკუთარი დაცვის მოსამზადებლად და ქონდეთ მათ (დაცვის) ადვოკატებთან თავისუფალი და კონფიდენციალური კავშირის უფლება;
- გასამართლდნენ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე;
- არ იყვნენ იძულებულნი მისცენ ჩვენება, ან აღიარონ საკუთარი ბრალი, გამოიყენონ დუმილის უფლება, რასაც არ მიეცემა ეჭვმიტანილისთვის არც დადებითი, და არც უარყოფილით ინტერპრეტაცია მათი ბრალის დადგენის საკითხში;
- ეჭვმიტანილის ადვოკატს უფლება აქვს პროკურატურისგან მიიღოს პროკურორის აზრით, ეჭვმიტანილის ბრალის შემამსუბუქებელი ან უდანაშაულობის დამამტკიცებელი მტკიცებულებები. ასეთი მტკიცებულებების არ გადაცემას ექნება უარყოფითი ზეგავლენა პროკურატურის მტკიცებულებათა ბაზის სანდოობაზე.

49. რა ხდება მაშინ როდესაც ეჭვმიტანილს არ გააჩნია ადვოკატის მომსახურებისთვის აუცილებელი ფინანსური შესაძლებლობები?

ეჭვმიტანილს უფლება აქვს მიიღოს იურიდიული მხარდაჭერა ყველა შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მართალმსაჯულობის ინტერესი. მისი უუნარობის (ხელმოკლეობის) შემთხვევაში მას გააჩნია უფლება ისარგებლოს სასამართლოს მიერ ანაზღაურებული იურიდიული მხარდაჭერით.

50. შესაძლებელია, თუ არა პატიმრის დროებითი განთავისუფლება წინასწარი პატიმრობიდან?

ყველა პატიმარს აქვს უფლება მოითხოვოს დროებითი გათავისუფლება წინასწარი პატიმრობიდან. შუამდგომლობაზე უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში,

შესაბამისი პალატა, მინიმალურად 120 დღეში ერთხელ, რეგულარულად განახორციელებს ამ გადაწყვეტილების გადასინჯვას. გადასინჯვა აგრეთვე შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ მომენტში პატიმრის ან პროკურორის თხოვნის შესაბამისად.

51. რას წარმოადგენს დაცვის საჯარო ადვოკატის ოფისი (OPCD)?

OPCD ხელს უწყობს, იცავს და იკვლევს დაცვის მხარის უფლებებს, ხელს უწყობს დაცვისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მაღალ დონეზე განხილვას და იბრძვის გამოძიების და პროცესის ყველა ეტაპზე დაცვის მხარისთვის თანაბარი უფლებების განხორციელებისათვის.

ოფისი დამოუკიდებელია მისი ძირითადი ფუნქციების შესრულებაში, მაგრამ ადმინისტრაციული მიზეზების გამო ექვემდებარება სასამართლოს კანცელარიას.



D. ბრალდების დადასტურება პროცესის დაწყებამდე

52. ხდება თუ არა ეჭვმიტანილების წარდგენა სასამართლოს წინაშე მათი ჰააგაში გადაადგილებისთანავე?

დიახ. ჰააგაში ჩაყვანიდან მცირე ხნის შემდეგ ეჭვმიტანილი პირველად აღმოჩნდება სასამართლოს წინაშე. წინასასამართლო პალატა დაადგენს ეჭვმიტანილის ვინაობას, დარწმუნდება იმაში, რომ მისთვის სრულად გასაგებია მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება, დაადგენს ენას, რომელზეც წარიმართება სასამართლო პროცესი და დანიშნავს ბრალდების დადასტურების სხდომის დაწყების თარიღს.

ბრალდების დადასტურების წინასასამართლო სხდომაზე პროკურორმა პალატას უნდა წარუდგინოს საკმარისი მტკიცებულებები, რათა საქმე გადაცემული იყოს სასამართლო პალატის განხილვისთვის. ეჭვმიტანილის დაცვის ადვოკატს გააჩნია ბრალდების და პროკურორის მტკიცებულებების გაპროტესტების და საკუთარი მტკიცებულებების წარდგენის უფლება.

ბრალდების დადასტურების სხდომა ტარდება პროკურორის, ეჭვმიტანილის, მისი ადვოკატის და ასევე დაზარალებულთა წარმომადგენლის თანდასწრებით. როგორც გათვალისწინებულია სტატუტის 61-ე მუხლით, ეჭვმიტანილს ასევე გააჩნია სხდომაზე დასწრების უფლების არ გამოყენების შესაძლებლობა.

53. რა შეიძლება გადაწყვიტოს წინასასამართლო პალატამ ბრალდების დადასტურების სხდომის შემდეგ?

ბრალდების დადასტურების სხდომის შემდეგ წინასასამართლო პალატას შეუძლია:

- არ დაადასტუროს ბრალდება; რაც პროკურატურას ხელს არ შეუშლის დამატებითი მტკიცებულებების საფუძველზე, ბრალდების დადასტურების ახალი შუამდგომლობის შეტანაში;
- გადადოს სხდომა და პროკურატურას მიმართოს ახალი მტკიცებულებების გადაცემის, ან დამატებითი ძიების ჩატარების თხოვნით, ან ბრალდება შეცვალოს, თუ არსებული მტკიცებულებები მეტყველებენ სხვაგვარი დანაშაულის ჩადენაზე;
- ბრალდება დაადასტუროს და საქმე გადასცეს სასამართლო წარმოებაში; დადასტურების შემდეგ სასამართლოს ხელმძღვანელობა დანიშნავს სასამართლო პალატას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროცესის მომდევნო ეტაპის - სასამართლო პროცესის განხორციელებაზე.

54. ნიშნავს თუ არა ბრალდების დადასტურება ეჭვმიტანილის წინასწარ ბრალეულობას?

არა. დადასტურების სხდომის დანიშნულება მდგომარეობს ეჭვმიტანილის უფლებების დაცვაში, რათა მის წინააღმდეგ არ იყოს აღძრული უსაფუძვლო პროცედურები. წინასასამართლო ეტაპზე პროკურატურამ ყოველი წაყენებული ბრალდება უნდა დაადასტუროს საკმარისი მტკიცებულებით, რათა არსებობდეს დასაბუთებული და გონივრული ვარაუდი იმისა, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა მოცემული დანაშაულები.

ერთი, ან ერთზე მეტი ბრალდების დადასტურების შემთხვევაში საქმე იქნება გადაცემული სასამართლო პალატის განხილვაზე.

55. რა ხდება ბრალდების დადასტურების შემდეგ?

ბრალდების დადასტურების შემდეგ წინასასამართლო პალატა საქმეს გადასცემს სასამართლო პალატის განსახილველად, რომელიც, თავის მხრივ ჩაატარებს მომდევნო პროცედურას - სასამართლო პროცესს.



E. სასამართლო პროცესი

56. სასამართლო პროცესის ჩატარების ადგილი

პროცესები ტარდება სასამართლოს ოფისში, ქ. ჰააგაში, თუ მოსამართლეებმა არ გადაწყვიტეს პროცესის სხვაგან ჩატარება. აღნიშნული საკითხი რამდენიმეჯერმე იყო დაყენებული. ეჭვმიტანილი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სასამართლო პროცესებს. პროცესები საჯაროა, იმ შემთხვევების გარდა, სადაც პალატა დაზარალებულთა, მოწმეთა ან საიდუმლო დამამტკიცებელი ინფორმაციის დაცვის მიზნით, საჭიროდ ჩათვლის დახურული სხდომის ჩატარებას.

57. სასამართლო პროცესის დაწყება

პროცესის პირველ სხდომაზე სასამართლო პალატა ითხოვს ბრალდებების წაკითხვას ეჭვმიტანილისთვის და ბრალდებულს ეკითხება, გასაგებია თუ არა მისთვის ბრალდების შინაარსი. ამის შემდეგ პალატა ბრალდებულს მიმართავს ბრალის აღიარების, ან უდანაშაულობის გამოცხადების თხოვნით.

58. რა ხდება ბრალის აღიარების შემთხვევაში?

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო პალატა რწმუნდება იმაში, რომ ბრალდებულისთვის სრულად გასაგებია ბრალის აღიარების შინაარსი და შედეგები, რომ ეჭვმიტანილმა მისი ბრალი აღიარა ნებაყოფლობით და მის ადვოკატთან კონსულტაციის მერე, და რომ აღიარებული ბრალი დასტურდება საქმის მასალებით, შეესაბამება პროკურორის მიერ მოყვანილ ბრალდებებს და მტკიცებულებებს, რომლებსაც ეთანხმება ბრალდებული.

59. სასამართლო პროცესის მსვლელობა

სასამართლო პროცესისას ბრალდების და დაცვის მხარეს გააჩნიათ საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა. სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენით, ბრალდების მხარემ უნდა დაადასტუროს, რომ ეჭვმიტანილის ბრალი დამტკიცებულია გონივრულ ეჭვს მიღმა. მტკიცებულება შეიძლება იყოს წარდგენილი საბუთების, სხვა ფიზიკური ობიექტების ან მოწმეთა ჩვენებების ფორმით. ასევე, პროკურორისთვის სავალდებულოა ეჭვმიტანილისთვის ყოველგვარი არსებული გამამართლებელი მტკიცებულებების წარდგენა.

ბრალდების მხარე პირველი აკეთებს საქმის წარდგენას და ჩვენების მიცემისთვის მოწმეებს იძახებს. იმის შემდეგ, რაც პროკურორი დაასრულებს მოწმეების დაკითხვას, დაცვის ადვოკატს ასევე ეძლევა ბრალდების მოწმეების დაკითხვის უფლება.

პროკურორის მიერ ყველა მისი მტკიცებულებების წარდგენის დასრულების შემდეგ, ბრალდებულს, მის ადვოკატთან ერთად, ეძლევა დაცვის არგუმენტების და მტკიცებულებების წარდგენის უფლება.

60. ვის შეუძლია მტკიცებულებების წარდგენა?

პროცესის მონაწილე ყველა მხარეს შეუძლია საქმის შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა. უდანაშაულობის პრეზუმპციის თანახმად, ყველა პირი ითვლება უდანაშაულოდ მანამდე, სანამ მისი ბრალი არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად. ბრალდების მხარეს ევალება ბრალდებულის ბრალის დამტკიცება გონივრულ ეჭვს მიღმა. ბრალდებულს გააჩნია ბრალდების მოწმეების (არსებული წესების შესაბამისად) და საკუთარი დაცვის მოწმეების გამოძახების და დაკითხვის უფლება.

დაზარალებულთა პირადი ინტერესების შელახვის შემთხვევაში, სასამართლო მათ აძლევს უფლებას სასამართლოსთვის შესაბამის ფორმაში, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულების და აზრი იმგვარად, რომ არ იყოს შელახული ბრალდებულის უფლებები და უდანაშაულობის პრეზუმპცია და ამან უარყოფითი ზეგავლენა არ მოახდინოს ობიექტური და დამოუკიდებელი პროცესის ჩატარებაზე. დაზარალებულებს შეუძლიათ საკუთარი აზრის და დამოკიდებულების გამოხატვა მათივე იურიდიული წარმომადგენლების მეშვეობით.

2008 წლის 11 ივლისს მიღებული გადაწყვეტილებით, სააპელაციო პალატამ დაზარალებულებს მისცა ბრალმდებელი ან გამამართლებელი მტკიცებულებების წარდგენის, დაშვებადობის და შესაბამისობის გაპროტესტების უფლება, იმის მიუხედავად, რომ ეს უფლება ძირითადად ეკუთვნის ბრალდების და დაცვის მხარეებს. იმის გამო, რომ დაზარალებულები პირადად არიან დაინტერესებულნი მტკიცებულებების წარდგენაში, ეს უფლება ექვემდებარება მკაცრ წინაპირობებს და უნდა ესაბამებოდეს დაცვის მხარის უფლებებს და სასამართლო პროცესის ობიექტურობას. დაზარალებულები ასევე უნდა დაექვემდებარონ ე.წ. გამჟღავნების ვალდებულებას, მხარეებს წინასწარ შეატყობინონ წარდგენის შუამდგომლობის შეტანის შესახებ და შეასრულონ სასამართლოს ბრძანებები, დაკავშირებული გარკვეული პირების დაცვასთან. და ბოლოს, მოსამართლეებმა უნდა განიხილონ დაზარალებულის შუამდგომლობის შესაბამისობის საკითხი.



F. განაჩენი და მსჯავრი

მხარეების მიერ მათი მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ, ბრალდებას და დაცვას ეძლევათ ბოლო სიტყვის თქმის უფლება. დაცვის მხარე ყოველთვის საუბრობს ბრალდების მხარის შემდეგ. მოსამართლეებს აგრეთვე შეუძლიათ დაზარალებულთა სასარგებლოდ რეპარაციების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, აღდგენის, კომპენსაციის და რეაბილიტაციის ჩათვლით. მათ შეუძლიათ რეპარაციები პირდაპირ დააკისრონ მსჯავრდებულს.

61. სასამართლოს მიერ განაჩენის გამოცხადება

ბრალდების და დაცვის მხარის მიერ გამოძახებული დაზარალებულების და მოწმეების დაკითხვის, ასევე მტკიცებულებების განხილვის შემდეგ მოსამართლეები საბოლოოდ ადგენენ ბრალდებულის დამნაშავეობას, ან უდანაშაულობას.

განაჩენის გამოცხადება ყოველთვის საჯაროა და რამდენადაც შესაძლებელია, ტარდება ბრალდებულების და თუ ისინი პროცესში მონაწილეობას იღებდნენ, დაზარალებულების და მათი კანონიერი წარმომადგენლების თანდასწრებით.

62. რა სასჯელს შეიძლება გამოიტანოს სასამართლო?

მოსამართლეებს შეუძლიათ გამოიტანონ თავისუფლების აღკვეთა, რასაც შეიძლება დაემატოს ფულადი ჯარიმა ან შესაბამისი დანაშაულის ჩადენის გზით, პირდაპირ, ან არაპირდაპირ შეძენილი ფულადი სახსრების ან სხვა ქონების და აქტივების კონფისკაცია. სასამართლოს არ შეუძლია სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა. მაქსიმალური პატიმრობის ვადა 30 წელია, მაგრამ საგანგებო შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია სამუდამო პატიმრობის შეფარდებაც.

63. სად ხდება განაჩენის აღსრულება?

მსჯავრდებულები სასჯელს იხდიან სასამართლოს სასჯელის არმსრულებელი, მოხალისე სახელმწიფოების სიიდან სასამართლოს მიერ არჩეულ სახელმწიფოში.

პატიმრობის პირობები ეშეესაბამება განაჩენის აღსრულების სახელმწიფოს კანონმდებლობას და საყოველთაოდ მიღებულ, პატიმრებთან მოპყრობის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამის სტანდარტებს. პატიმრობის პირობები უნდა ესაბამებოდეს სასჯელის აღსრულების სახელმწიფოში მსგავს დანაშაულზე გასამართლებული მსჯავრდებულის პატიმრობის პირობებს.

G. აპელაცია და გადასინჯვა

64. რა შემთხვევაშია შესაძლებელი აპელაციის წესით გასაჩივრება?

პროცესის ყველა მხარეს შეუძლია წინასასამართლო ან სასამართლო პალატების გადაწყვეტილებების გასაჩივრება აპელაციის წესით. ბრალდების მხარეს გააჩნია მსჯავრის ან გამამართლებელი განაჩენის გასაჩივრების უფლება, შემდეგი გარემოებებისას: პროცედურულ, ფაქტობრივ ან კანონთან დაკავშირებული შე შეცდომების გამო.

მსჯავრდებულს ან ბრალდების მხარეს, აგრეთვე შეუძლიათ აპელაციის შეტანა ნებისმიერი მიზეზის გამო, რომელიც დაკავშირებულია პროცესის ან გადაწყვეტილების სამართლიანობასთან, უშუალოდ, იმ შემთხვევაში, თუ გამოტანილი განაჩენი არ ესაბამება ჩადენილ დანაშაულს.

დაზარალებულთა, მსჯავრდებულის, ან ქონების კეთილსინდისიერი მფლობელის კანონიერ წარმომადგენლებს ასევე შეუძლიათ დაზარალებულთა რეპარაციების ბრძანების აპელაციის წესით გასაჩივრება, ამ ბრძანებით უკმაყოფილების შემთხვევაში.

სააპელაციო პალატას შეუძლია მსჯავრის გაუქმება ან შეცვლა, ან საქმის გადაგზავნა სხვა სასამართლო პალატის განმეორებით განხილვაზე.

65. რჩება თუ არა მსჯავრდებული პატიმრობაში აპელაციაზე პასუხის მოლოდინში?

თუ სასამართლო პალატამ არ გადაწყვიტა სხვანაირად, მსჯავრდებული პატიმრობაში ელოდება საკუთარი აპელაციის პასუხს. მაგრამ, მსჯავრდებული თავისუფლდება თუ მისი დაკავების ვადა აღემატება სასამართლო პალატის მიერ გამოტანილი მსჯავრის ვადას. და კიდევ, ბრალდებულის გამართლების შემთხვევაში, იგი თავისუფლდება დაუყოვნებლივ თუ არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოება.

66. რა შემთხვევებშია შესაძლებელი გადაწყვეტილების გადასინჯვა?

დაზარალებულს ან ბრალდების მხარეს შეუძლიათ მიმართონ სააპელაციო პალატას საბოლოო საბრალდებო განაჩენის, ან მსჯავრის გადასინჯვის შუამდგომლობით, როდესაც:

- აღმოჩენილია ახალი და მნიშვნელოვანი მტკიცებულებები;
- არსებობს ახალი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროცესში განხილული გადამწყვეტი მტკიცებულებები, რომლებზეც არის დაფუძნებული გამოტანილი მსჯავრი, არის ყალბი, გაყალბებული ან ფალსიფიცირებული;
- საქმის განხილვის პალატის ერთ-ერთმა ან რამდენიმე მოსამართლემ ჩაიდინა სერიოზული დისციპლინარული დარღვევა ან ადგილი აქვს თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტს, რომლის საფუძველზეც რომის სტატუტის შესაბამისად, მოხდა ან მოხდება მათი გათავისუფლება თანამდებობიდან.

67. რა მოხდება, თუ აღმოჩნდა, რომ ადამიანი ექვემდებარებოდა უკანონო დაკავებას ან დაპატიმრებას?

ყველა უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ ადამიანს გააჩნია კომპენსაციის მიღების უფლება. სასამართლო მიიღებს კომპენსაციის გადაწყვეტილებას, თუ დამტკიცებული იქნება, რომ საქმეში დაშვებულია მართალმსაჯულობის ცხადი და მძიმე შეცდომა.

V. დაზარალებულთა მონაწილეობა

68. რა განსხვავებაა დაზარალებულსა და მოწმეს შორის?

დაზარალებული არის ადამიანი, რომელიც დაშავდა ან დაზარალდა ICC-ს იურისდიქციაში მყოფი ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის დროს. რომის სტატუტის შესაბამისად, დაზარალებულებს გააჩნიათ ქვემოთ მოყვანილი უფლებები. ამ უფლებებიდან, ყველაზე უნიკალურია ბრალდების ან დაცვის მხარეებისგან დამოუკიდებლად პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება. დაზარალებულებს გააჩნიათ საკუთარი იურიდიული წარმომადგენლის აყვანის უფლება, რომელიც სასამართლო დარბაზში წარმოადგენს მათ დამოკიდებულებას და პირად ინტერესებს.

მოწმე - ძირითადად ბრალდების ან დაცვის მხარის მიერ გამოძახებული ადამიანია, რომელიც სასამართლოს წინაშე გამოდის მოწმის ჩვენების მისაცემად.

69. ვინ ითვლება „დაზარალებულად“ ICC-ს წინაშე?

დაზარალებულები არიან ადამიანები, დაშავებული, ან დაზარალებული ICC-ს იურისდიქციაში მყოფი ტერიტორიაზე ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის დროს. აგრეთვე დაზარალებულად შეიძლება ჩაითვალოს პირი მისი ქონების დაზიანების შემთხვევაში. დაზარალებულად შესაძლოა ჩაითვალოს რელიგიური, საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სამეცნიერო, ან საქველმოქმედო ორგანიზაცია, ან დაწესებულება.

ICC-ს მოსამართლეები ადგენენ, როგორი ზიანი/ზარალი იქნება გათვალისწინებული თითოეულ საქმეში. ეს შეიძლება იყოს სხეულის დაზიანება, ფსიქოლოგიური ზიანი, სადაც ადამიანის გონება დაზიანდა მის მიერ განცდილი ან შესწრებული მოვლენების გამო, ან მატერიალური ზარალი, რომელიც წარმოადგენს უძრავი ან მოძრავი ქონების დაკარგვას ან დაზიანებას.

70. რა უფლებები გააჩნიათ დაზარალებულებს ICC-ს წინაშე?

ICC-ს წინაშე დაზარალებულებს გააჩნიათ უფლებები, რაც მათ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომდე არასოდეს ჰქონიათ. დაზარალებულები ICC-ს პროცედურებში მონაწილეობენ შემდეგი წესით:

- დაზარალებულებს გააჩნიათ უფლება პროკურორის ოფისს მიმართონ ინფორმაციით და გამოძიების დაწყების თხოვნით;
- სასამართლო პროცესის ეტაპზე, დაზარალებულს, საკუთარი ინიციატივით ან ბრალდების ან დაცვის მხარეების, ან სხვა იმავე საქმის დაზარალებული მონაწილის გამოძახების საფუძველზე, გააჩნია სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემის უფლება;
- დაზარალებულებს აგრეთვე გააჩნიათ პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება მათი კანონიერი წარმომადგენლის შუამავლობით; სასამართლო პროცესის დროს დაზარალებულებს შეუძლიათ მოსამართლეებისთვის მათი დამოკიდებულების და აზრის წარდგენა; ასეთი მონაწილეობა ყოველთვის ნებაყოფლობითია და დაზარალებულს აძლევს ბრალდების ან დაცვის მხარეებისგან დამოუკიდებლად, მისი თვალსაზრისის გაზიარების, მისი ინტერესების და მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოხატვის საშუალებას;
- ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულებს შეუძლიათ პროცესში ბრალდებულის ბრალის ან უდანაშაულობის მტკიცებულებების წარდგენა; მათ აგრეთვე შეუძლიათ

მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დაშვებადობის ან შესაბამისობის გაპროტესტება;

- და ბოლოს, დაზარალებულებს შეუძლიათ მიღებული ზიანის ან ზარალის რეპარაციების მოთხოვნა.

71. დაზარალებულების მონაწილეობა სასამართლო პროცესში

სასამართლოს თანხმობით, დაზარალებულებს შეუძლიათ მათი თვალსაზრისის გამოხატვა პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე. სისხლისსამართლებრივი პროცესის სირთულის გამო, დაზარალებულებს უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს იურიდიული რწმუნებული (ადვოკატი), რომელიც სასამართლოს წარუდგენს მათ დამოკიდებულებას და თვალსაზრისს სასამართლო პროცესის შესახებ.

მათი მონაწილეობის გაადვილების მიზნით, დაზარალებულებმა უნდა შეავსონ პროცესში მონაწილეობის შუამდგომლობის ფორმა. ეს ფორმა ხელმისაწვდომია სასამართლოს ინტერნეტ-გვერდზე, ან უშუალოდ დაზარალებულთა მონაწილეობის და რეპარაციების განყოფილებაში, ქ. ჰააგაში. შევსებული ფორმები ფაქსით, ელფოსტით ან ფოსტით უნდა გაიგზავნოს დაზარალებულთა მონაწილეობის და რეპარაციების განყოფილებაში, ქ. ჰააგაში, ქვემოაღნიშნულ მისამართზე.

ფორმის შევსებაში და სასამართლოში გადაცემაში დახმარებისთვის დაზარალებულები უნდა დაუკავშირდნენ იმავე განყოფილებას.

დაზარალებულთა მონაწილეობის და რეპარაციების განყოფილების საკონტაქტო მონაცემები:

International Criminal Court (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო)
Victims Participation and Reparations Section (დაზარალებულთა მონაწილეობის და რეპარაციების განყოფილება)
Oude Waalsdorperweg 10
2597 AK, The Hague
The Netherlands (ნიდერლანდები)
ფაქსი: +31 (0) 70 515 9100
ელფოსტა: vprsapplications@icc-cpi.int

ტელ. + 31 (0)70 515 8515
ფაქსი +31 (0)70 515 8555

72. შეუძლია თუ არა სიტუაციის ყველა დაზარალებულს პროცესში მონაწილეობის მიღება?

მოსამართლეები ცალცალკე იხილავენ ყოველ შემოსულ შუამდგომლობას და იღებენ გადაწყვეტილებას, მიიღებს თუ არა მსურველი მონაწილეობას პროცესში ICC-ს წინაშე, და რომელ ეტაპზე მოხდება ეს.

73. საჭიროა, თუ არა რომ დაზარალებულები გადაადგილდნენ ჰააგაში, სადაც მდებარეობს სასამართლოს ოფისი?

უმეტეს შემთხვევაში, დაზარალებულებს, თუ მათ ამის სურვილი არ გააჩნიათ, ჰააგაში

გადაადგილება არ მოუწევთ. მათი იურიდიული წარმომადგენელი სასამართლოს წარუდგენს მათ დამოკიდებულებას და თვალსაზრისს პროცესის შესახებ.

74. დაზარალებულის მიერ იურიდიული წარმომადგენლის აყვანა

დაზარალებულებს გააჩნიათ მათი იურიდიული წარმომადგენლის არჩევის თავისუფლება, თუ არჩეული პირი ფლობს შემდეგ კვალიფიკაციებს: 10 წლის გამოცდილება სისხლის სამართლის საქმეებში როგორც მოსამართლე, პროკურორი ან ადვოკატი, თავისუფლად ფლობდეს როგორც მინიმუმ ერთ სასამართლოს სამუშაო ენას (ინგლისურს ან ფრანგულს). ICC-ს კანცელარია, კვალიფიცირებული ადვოკატების სიის შეთავაზებით, დაზარალებულებს ხელს უწყობს მათი იურიდიული წარმომადგენლის ძებნაში. სასამართლოში აგრეთვე მოქმედებს დაზარალებულთა საჯარო ადვოკატის ოფისი (OPCV), რომელსაც შეუძლია დაზარალებულის ინტერესების წარმოდგენა და მათი იურიდიული წარმომადგენლის უზრუნველყოფა იურიდიული მხარდაჭერით.

დაზარალებულთა დიდი რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია, მოსამართლეებმა დაზარალებულებს მიმართონ ერთი ან რამდენიმე ერთიანი იურიდიული წარმომადგენლის აყვანის თხოვნით. ერთიან იურიდიულ წარმომადგენლობას იყენებენ სასამართლო პროცესის ეფექტიანობის გაზრდისათვის.

75. რა ხდება თუ დაზარალებულს არ აქვს იურიდიული წარმომადგენლის დაქირავების შესაძლებლობა?

იმის მიუხეადავად, რომ სასამართლოს იურიდიული მხარდაჭერის რესურსები შეზღუდულია, შესაძლოა რომ სასამართლომ დაზარალებულს შეთავაზოს ფინანსური მხარდაჭერა იურიდიული წარმომადგენლის აყვანაში. დაზარალებულთა საჯარო ადვოკატის ოფისს აგრეთვე შეუძლია უფასო იურიდიული მხარდაჭერის გაწევა.

76. რა ფუნქცია გააჩნია დაზარალებულთა საჯარო ადვოკატის ოფისს?

დაზარალებულთა საჯარო ადვოკატის ოფისი (OPCV) პროცესის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს დაზარალებულების და მათ იურიდიული წარმომადგენლების იურიდიულ მხარდაჭერას, უზრუნველყოფს პროცესში მათ ეფექტიან მონაწილეობას და მათი უფლებების დაცვას.

ადმინისტრაციული მიზეზების გამო OPCV შედის სასამართლო კანცელარიის სტრუქტურაში, მაგრამ მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი ორგანო.

77. სასამართლოს მიერ დაზარალებულთა დაცვა პროცესში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში

კანცელარიის დაზარალებულთა და მოწმეთა ქვედანაყოფს შეუძლია სასამართლოს შესთავაზოს დაზარალებულის ფიზიკური დაცვის ზომების მიღება, იმ დაზარალებულებისთვის, ვინც გამოცხადდება სასამართლოს წინაშე და მათთვის, ვისაც საფრთხე ემუქრება მოწმის მიერ მოცემული ჩვენების გამო. ქვედანაყოფი უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული პიროვნებების დაცვას.

ოპერატიული სამუშაოების ჩატარებისას, სასამართლოს ყველა ორგანომ უნდა შეასრულოს მიღებული პრაქტიკის წესები, რათა უზრუნველყოს მისი თანამშრომლების და კონტაქტების უსაფრთხოება. დაცვითი ზომების მაგალითებია: პროცესში მონაწილე დაზარალებულთა ანონიმურობა, ფსევდონიმების გამოყენება, საბუთების რედაქტირება ან მათი გამოყენების აკრძალვა და აუდიო-ვიზუალური ტექნოლოგიების გამოყენება, რათა სასამართლოს წინაშე გამოსული პიროვნებათა ვინაობა ძნელად საცნობი გახდეს.

78. რა სახის რეპარაციის გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღონ მოსამართლეებმა პროცესის ბოლო ეტაპზე?

პროცესის ბოლო ეტაპზე სასამართლო პალატას შეუძლია მსჯავრდებულს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამო დააკისროს მდაზარალებულებისთვის კომპენსაციის გადახდა. რეპარაციებს შეიძლება ჰქონდეს ფინანსური კომპენსაციის, ქონების დაბრუნების, რეაბილიტაციის ან სიმბოლური ზომების, როგორც ბოდიშის მოხდის, ან მემორიალის მოწყობის, ფორმა.

სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ან ჯგუფური რეპარაციების დაკისრების შესახებ, რომელიც, მისი აზრით, შეესაბამება მოცემული საქმის დაზარალებულთა საჭიროებებს. ჯგუფური რეპარაციების შეღავათი მდგომარეობს იმაში, რომ მათი ცხოვრების აღდგენაში მხარდაჭერას მთლიანი თემი მიიღებს. ასეთ მხარდაჭერას შეიძლება ჰქონდეს დაზარალებულთა მომსახურების ცენტრების მოწყობის, ან სიმბოლური ზომების მიღების ფორმა. ამის გარდა, რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებმა დააწესეს მიზნობრივი ფონდი ICC-ს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებების დაზარალებულებისთვის და მათი ოჯახის წევრების მხარდაჭერის მიზნით, რათა სასამართლოს მიერ დაკისრებული რეპარაციების ანაზღაურება შესაძლებელი იყოს მსჯავრდებულის უუნარობის შემთხვევაშიც.

79. რას წარმოადგენს დაზარალებულთა მიზნობრივი ფონდის ფუნქცია?

რომის სტატუტის შესაბამისად, დაარსებულია ორი დამოუკიდებელი ორგანო: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და დაზარალებულთა მიზნობრივი ფონდი.

მაშინ, როდესაც შეძლებელია გენოციდით, სამხედრო და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებებით, ან აგრესიით გამოწვეული ზიანის და ზარალის წაშლა,- გადარჩენილებისთვის, და განსაკუთრებით, მათ შორის ყველაზე სუსტებისთვის შესაძლებელია, მხარდაჭერის გაწევა მათი ცხოვრების თავიდან აწყობაში, მათი ღირსების, და საზოგადოების ღირსეული წვერის სტატუსის აღდგენაში.

დაზარალებულთა მიზნობრივი ფონდი იცავს დაზარალებულთა ინტერესებს და ახორციელებს დაზარალებულთათვის მხარდაჭერის სურვილის მქონე პიროვნებების, ორგანიზაციების და თანამდებობის პირების კოორდინირებას, რათა მიღებული იყოს რეალური, დაზარალებულთა და მათ საზოგადოებათა მხარდაჭერის ზომები. ფონდი აფინანსებს ან იწყებს დაზარალებულთა ფიზიკური, მატერიალური ან ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ინოვაციურ პროექტებს. სასამართლოს თხოვნით, ფონდს აგრეთვე შეუძლია პირდაპირი ზომების მიღება.

დაზარალებულთა მიზნობრივ ფონდს შეუძლია დანაშაულებების დაზარალებულებისათვის მხარდაჭერის გაწევა იმის მიუხედავად, აქვს თუ არა ICC-ს ამ საქმეში დადებული მსჯავრი. ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობს სასამართლოსთან, რათა ხელი არ შეუშალოს მიმდინარე პროცესების ჩატარებას.

80. აუცილებელია, თუ არა დაზარალებულისთვის პროცესში მონაწილეობის მიღება, რათა მას მიეცეს რეპარაციების მიღების უფლება?

არა. იმშემთხვევაშიც, თუ დაზარალებულმა პროცესში მონაწილეობა არ მიიღო, მას შეუძლია რეპარაციაზე შუამდგომლობის შეტანა. მონაწილეობის და რეპარაციის შუამდგომლობები გაერთიანებული არ არიან. აგრეთვე, სასამრთლოს შეუძლია დაზარალებულის სასარგებლოდ რეპარაციების გადაწყვეტილების მიღება შუამდგომლობის არ შეტანის შემთხვევაშიც.

VI. მოწმეთა დაცვა

81. ვის შეუძლია გახდეს მოწმე სასამართლოს წინაშე?
პროკურორის ოფისს, დაცვის ადვოკატებს ან პროცესი მონაწილე დაზარალებულებს, უფლება გააჩნიათ სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემისათვის გამოიძახონ ექსპერტი, დაზარალებული ან სხვა რომელიმე პიროვნება, რომელიც დაესწრო დანაშაულის ჩადენას.

82. რა კრიტერიუმებს იყენებს პროკურორის ოფისი მოწმეების არჩევისათვის?
პროკურორის ოფისი მოწმეებს ირჩევს მათი ჩვენების შესაბამისობის, მათი სანდოობის და უტყუარობის საფუძველზე.

83. სავალდებულოა თუ არა მოწმისთვის ჩვენების მიცემა?
არა. სასამართლო არ აიძულებს მოწმეების სასამართლოს წინაშე გამოსვლას ან ჩვენების მიცემას. მოწმის ფუნქცია ნებაყოფლობითია.

84. როგორ რწმუნდება სასმართლო მოწმის ჩვენების სიმართლეში?
ცრუ ჩვენების არიდებისათვის არსებობს სხვადასხვა ზომები. ჩვენების მიცემამდე, ყოველი მოწმე დებს სიმართლის ფიცს. მოსამართლეებს გააჩნიათ უფლებამოსილება შეისწავლონ ყველა წარდგენილი მტკიცებულება, რათა დაადგინონ ამ მასალის შესაბამისობა და დაშვებადობა.

ცრუ ჩვენების მიცემაზე მოწმე შესაძლოა დაისაჯოს მაქსიმალურად ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთით, ან/და ფულადი ჯარიმით.

85. რა მხარდაჭერით სარგებლობენ სასამართლოს წინაშე გამოსული მოწმეები?
სასამართლოს წინაშე გამოსული მოწმეები სარგებლობენ აუცილებელი ინფორმაციით და მხარდაჭერით. დახმარებას ახორციელებს დაზარალებულთა და მოწმეთა ქვედანაყოფის (VWU) მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მოწმეებს, საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, კრიზისული ინტერვენციას და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას.

VWU აგრეთვე ამზადებს მოწმეებს სასამართლოს წინ ჩვენების მიცემისთვის „შეჩვევის“ პროცედურის მეშვეობით. ამ პროცესის ფარგლებში მოწმეებისთვის ტარდება ექსკურსია სასამართლოს დარბაზში, სადაც ისინი, როგორც მაყურებლები ესწრებიან სასამართლო პროცესს. მათგან ბევრი არასდროს ყოფილა სასამართლო დარბაზში, და გამორიცხული არ არის, მათ ეშინოდეთ სასამართლოში დასწრების. ამას შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდეს მათ კარგად ყოფნაზე და მათ ჩვენებაზე. შეჩვევის პროცედურა სწორედ ამგვარი ვითარების თავიდან ასაცილებლად ტარდება . შეჩვევის პროცესს არ აქვს ზეგავლენა ჩვენების შინაარსზე, რადგან შეჩვევის პროცესის დროს აღნიშნულ თემაზე საუბარი არ მიმდინარეობს.

86. რა ზომების მიღება შეუძლია სასამართლოს მოწმეთა დაცვისთვის?
სასამართლოსთვის ხელმისაწვდომია მოწმეთა ან სხვა პირთა დაცვის რამდენიმე ზომა, რომლებსაც მოწმის მიერ მოცემული ჩვენების გამო საფრთხე ემუქრებათ. სასამართლოს მოწმეთა დაცვის პოლიტიკის საფუძველი - სამუშაო ინსტრუქცია, რომლის შესაბამისად,

მოწმის თემისგან და ზოგადად, საზოგადოებისგან იმალება მოწმის სასამართლოსთან ურთიერთობის ფაქტი. ყველა ადამიანი, რომელიც მოწმეებს უკავშირდება, მუშაობს ამ ინსტრუქციების შესაბამისად.

მოწმის საცხოვრებელ ადგილზე შეიძლება გამოყენებული იყოს ოპერატიული დაცვითი ზომები; მაგალითად, არსებობს პირველი რეაგირების სისტემა - 24/7 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სისტემა, რომლის მეშვეობით სასამართლოს გააჩნია შესაძლებლობა განახორციელოს მოწმეების გადაადგილება დაცულ ადგილში მათი უსაფრთხოებისთვის მუქარის, ან საფრთხის შექმნის შემთხვევაში. აგრეთვე, შესაძლებელია სხვა ოპერატიული ზომების მიღება, მაგალითად მოწმეების ინფორმირება საიდუმლოების დაცვის, ან გარე სამყაროსთვის განსხვავებული ისტორიის/ამბის შექმნის მნიშვნელობაზე, ან საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმის შეთანხმება.

სასამართლოს შეუძლია დაცვითი ზომების მიღება პროცესის დროსაც, მაგალითად, ადამიანის გარეგნობის, ან ხმის შეცვლა, ან ფსევდონიმის გამოყენება. ფსიქოლოგიურად ტრავმირებული მოწმეების, ბავშვების, მოხუცებულების ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლების დაცვისთვის სასამრთლოს შეუძლია დამატებითი დაცვითი ზომების გამოყენება, მაგალითად, ფსიქოლოგის, ან ოჯახის წევრის დასწრება ჩვენების მიცემის დროს, ან ფარდის გამოყენება, რათა შეუძლებელი გახდეს მოწმის და ბრალდებულის უშუალო ვიზუალური კონტაქტი.

მოწმეთა დაცვის უკიდურესი ზომა - მონაწილეობა სასამართლოს მოწმეთა დაცვის პროგრამაში (ICCPP), რომლის ფარგლებში ხორციელდება მოწმის და მისი ოჯახის წევრების გადაადგილება სახიფათო ადგილიდან. ეს ზომა საკმაოდ ეფექტურია, მაგრამ ძალიან რთული შესაგუებელია გადაადგილებული პიროვნებებისთვის, და ამიტომ გადაადგილება წარმოადგენს დაცვის უკიდურეს მეთოდს, და ხორციელდება აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში.

დაცვით ზომებს არ გააჩნია ზემოქმედება პროცესის ობიექტურობაზე. ამ ზომებს იყენებენ მოწმეებისათვის უსაფრთხო და კომფორტული სიტუაციის შესაქმნელად. დაცვითი ზომები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მოწმეებისთვის. დაცვით ზომებთან მიმართებაში, ყველა მხარისათვის აუცილებელია საიდუმლოების დაცვა, თუმცა დაცვითი ზომების გამოყენების შემთხვევაშიც შესაძლებელია ჩატარდეს მოწმის დაკითხვა.

Cour
Pénale
Internationale
International
Criminal
Court
Sélection de
documents
juridiques de
référence de la
Cour pénale
internationale

VII. დამატებითი ინფორმაცია ICC-ს შესახებ

87. სად შემიძლია ვიპოვო დამატებითი ინფომრაცია ICC-ს შესახებ?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილით სასამართლოს ინტერნეტ გვერდი http://www.icc-cpi.int. გვერდზე ხელმისაწვდომია სასამართლოს კანონმდებლობა, განაჩენები და საბუთები, სხდომების განრიგი, შეტყობინებები პრესისთვის და ინფორმაცია მასმედიის წარმომადგენლებისათვის, ვაკანსიების სია, ინფორმაცია ICC-ს სტაჟირების და პროფესიონალთა დროებით მიმაგრების პროგრამის შესახებ, და სხვა ინფორმაცია სასამართლოზე.

ICC-ს ინტერნეტ მაუწყებლობის გარდა, რომელიც ხელმისაწვდომია ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე, და მაყურებელს საშუალებას აძლევს იხილოს სასამართლოს სხდომები, 2010 წლის მარტში სასამართლომ გახსნა საკუთარი ოფიციალური იუთუბის (YouTube) არხი: www.youtube.com/user/IntlCriminalCourt სასამართლოს და მისი ღონისძიებების საჯაროობის გასაზრდელად. ეს ვიდეო არხი, სხვათა შორის, მაყურებლებს შესაძლებლობას აძლევს რამდენიმე ენაზე იხილონ სასამართლოს მიერ განხილული საქმეები, არხზე განთავსებული ყოველკვირეული საინფორმაციო მიმოხილვის "In The Courtroom" ("სასამართლო დარბაზში") მეშვეობით. აგრეთვე სასამათლოს იუთუბის (YouTube) გვერდზე ხელმისაწვდომია სხვა აუდიო-ვიზუალური პროგრამები, როგორც საჯარო ინფორმაციის პროგრამები, ისე ღონისძიებების და მოვლენების მიმოხილვები.

იუთუბის (YouTube) გვერდის გახსნის შემდეგ, სასამართლომ, აგრეთვე გახნა ტვიტერი ს (Twitter) საკუთარი გვერდი, ახალი ამბების და ბოლო ინფორმაციის, რეალური დროის რეჟიმში გამოქვეყნებისთვის: http://twitter.com/IntlCrimCourt. ამ სოციალური ქსელის გამოყენება წარმოადგენს სასამართლოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის და ღია გავრცელების სტრატეგიის ნაწილს.

88. რა ენებზეა ხელმისაწვდომი ინფორმაცია?

ძირითადად, ICC-ს ინტერნეტ გვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაცია ფრანგულ და ინგლისურ ენებზეა, რადგან ფრანგული და ინგლისური სასამართლოს ოფიციალურ სამუშაო ენებს წარმოადგენს. გარკვეულ სიტუაციებთან შესაბამისობისთვის აგრეთვე ხელმისაწვდომია გარკვეული დოკუმენტაცია არაბულ ენაზე. ასევე, სასამართლოს ძირითადი დოკუმენტაცია ინტერნეტ გვერდზე, ინგლისური და ფრანგული ენების გარდა ხელმისაწვდომია არაბულ, ჩინურ, რუსულ, და ესპანურ ენაზე, რომლებიც აგრეთვე წარმოადგენენ სასამართლოს ოფიციალურ ენებს.

89. როგორ შემიძლია ვესტუმრო ICC-ს ან დავესწრო სხდომას?

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კარიქ. ჰააგაში ღია ყველასთვის, ვისაც აინტერესებს სასამართლოს სტრუქტურა, მოქმედება, ან მუშაობის მიმართულებები.

სასამართლოს ბრიფინგზე დასწრება:

პირებმა ან ჯგუფებმა, რომლებსაც სურთ სასამართლოს ბრიფინგზე დასწრება, უნდა შეავსონ შესაბამისი შუამდგომლობის ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომი ასასამართლოს ინტერნეტ გვერდზე www.icc-cpi.int. შევსებული ფორმები შეგიძლიათ გააგზავნოთ ელფოსტით, მისამართზე visits@icc-cpi.int კერძო პირის შემთხვევაში, ვიზიტის თარიღამდე ერთი თვით ადრე, ხოლო ჯგუფების შემთხვევაში - ორი თვით ადრე.

სხდომაზე დასწრება:
ICC-ს სხდომები ძირითადად საჯაროა, იმ შემთხვევების გარდა, როცა პალატა ადგენს, რომ უნდა ჩატარდეს დახურული სხდომა. დაინტერესებულებს ვთხოვთ მიბრძანდნენ სასამართლოს მთავარ შესასვლელთან (შუამდგომლობის ფორმის წინასწარ შევსება საჭირო არ არის). სასამართლოს შენობაში შესვლისას, ყოველი პირი ექვემდებარება შემოწმებას უსაფრთხოების მიზნით, აგრეთვე, აუცილებელია ყველამ დაცვის თანამშრომელს წარუდგინოს მოქმედი პირადობის მოწმობა (პასპორტი, პირადობის ან მართვის მოწმობა).

ყველა საჯარო სხდომის ვიდეო ნახევარი საათის დაგვიანებით ქვეყნდება სასამართლოს ინტერნეტ გვერდზე: www.icc-cpi.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ სხდომების განრიგი. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წესრიგის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნების სასამართლოს შენობაში შემოსვლა აკრძალულია.

ჩვენი საკონტაქტო ინფორმაცია:

საჯარო ინფორმაციის და დოკუმენტაციის დეპარტამენტი
Registry, International Criminal Court (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კანცელარია)
Oude Waalsdorperweg 10
2597 AK, The Hague
The Netherlands (ნიდერლანდები)
ტელ. + 31 (0)70 515 8515
ფაქსი +31 (0)70 515 8555

ტელეფონი: +31 (0) 70 515 9767
ფაქსი: +31 (0) 70 515 8567
ელფოსტა: PublicAffairs.Unit@icc-cpi.int